



დამტკიცებულია ა(ა)იპ პროფესიული მომზადება-გადამზადების ცენტრის
დირექტორის 2020 წლის 20 თებერვლის N11 ბრძანებით

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ა(ა)იპ - პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ „ფერმერთა სკოლას“ (შემდგომში „სკოლა“) საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მისი განვითარება. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად ფასდება:

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა (შემდგომში - „პროგრამა“);

2. სასწავლო გარემო (მატერიალურ-ტექნიკური რესურსიან/და სწავლების პროცესში გამოყენებული მასალა-ნედლეული);

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (შემდგომში განმახორციელებელი პირები).


საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის სრულყოფისათვის სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება მსმენელების და განმახორციელებელი პირების გამოკითხვის საშუალებით.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და აღნიშნული საქმიანობის განვითარების მიზნით და წარუდგენს დირექტორს.

საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი.

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

„დაგეგმე“ - პროგრამის, სასწავლო გარემოსა და განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით მუშავდება შეფასების კრიტერიუმები (დაკვირვების ჩეკლისტები, კითხვარები), იგეგმება განსახორციელებელი ღონისძიებების გრაფიკი და ეცნობა დაინტერესებულ მხარეებს;



„განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვება და დამუშავება ხორციელდება შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად; ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული აქტივობების განხორციელება:

- მსმენელების მიღება/ჩართვა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი, საგაკვეთილო პროცესზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დაკვირვება;
- პროგრამის განვითარების, შინაარსობრივი დახვეწის მიზნით მსმენელების და განმახორციელებელი პირების გამოკითხვა;
- სასწავლო გარემოს (მატერიალური რესურსების, მასალა-ნედლეულის) გაუმჯობესების მიზნით მსმენელების და განმახორციელებელი პირების გამოკითხვა;
- განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლი;
- განმახორციელებელი პირების საჭიროებათა კვლევა.

„შეამოწმე“ - მონაცემების შეფასება, მონაცემების ანალიზი. კვლევებით მიღებული შედეგების შემოწმების მიზანია დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

„განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი ფაქტორების დადგენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება.

ა(ა)იპ მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „ფერმერთა სკოლა“ მიერ მსმენელების გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, პროგრამის, სასწავლო გარემოს და განმახორციელებელი პირების შეფასების მიზნით. განმახორციელებელი პირების გამოკითხვა კი ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა პროგრამის და სასწავლო გარემოს შეფასების მიზნით.

ა(ა)იპ მომზადებისა და გადამზადების ცენტრ „ფერმერთა სკოლას“ მიერ სასწავლო პროცესის მონიტორინგის და განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლის მიზნით საგაკვეთილო პროცესზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დაკვირვება ხორციელდება პროგრამის განხორციელების განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ა(ა)იპ მომზადებისა და გადამზადების ცენტრ „ფერმერთა სკოლას“ მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საჭიროებათა კვლევა ხორციელდება ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ.